სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/46 10-06- 2021 წ.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგაზაფხულო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი საგამოცდო პროცესის დისტანციური, ცენტრალიზებული წესით, ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. შეიქმნას საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - **როლანდ კოპალიანი**- რექტორი (კომისიის თავმჯდომარე)
   - **შალვა კირთაძე** – რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
   - **თეა კორძაძე** – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
   - **იმერი ბასილაძე** – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
   - **ოთარ შენგელია** - ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
   - **ლუკა დვალიშვილი** – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
   - **ნანა შონია** – ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
   - **ნანა ჯულაყიძე** – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
   - **მამული ბუჭუხიშვილი** – პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი
   - **ირინა ფხაკაძე** – მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
   - **ომარ კიკვიძე** – საინჟინრო – ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი
   - **მაია გრძელიძე** - საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
   - **ქეთევან კინწურაშვილი** – აგრარული ფაკულტეტის დეკანი
   - **ლალი ხარბედია** - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი
   - **დავით კეთილაძე** - ონ-ლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტი
   - **რამინ ჯუღელი** - ონ-ლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტი
   - **ნოდარ ცაგარეიშვილი** - ელექტრონული სწავლების კოორდინატორი
2. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს დისტანციურად, ელექტრონული ფორმით, რისთვისაც გამოყენებული იქნას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სასწავლო პორტალი (გარემო) Moodle (Moodle.atsu.edu.ge) და Microsoft office 365-ის პლატფორმაზე გამართული საკომუნიკაციო სისტემა Microsoft Teams და გამოკითხვის ფორმების გენერირების სიტემა Microsoft Forms.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფაკულტეტის საბჭოსა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი გამოცდები, საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში :

ა. მედიცინის ფაკულტეტზე;

ბ. საიჟინრო - ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე (უმაღლეს მათემატიკაში, მათემატიკურ ანალიზში);

გ. საიჟინრო - ტექნიკურ ფაკულტეტზე (კომპიუტერულ გრაფიკაში, სამშენებლო ხაზვაში, საიჟინრო მათემატიკა II-ში, MATHCAD ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში);

დ. ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

დ[1]. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე - მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2;

დ[2]. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე - მათემატიკა ბიზნესისთვის 2;

დ[3]. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე:

- ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (სამართლის პირველი სასწავლო წელი);
- სამოქალაქო სამართლის პროცესი (სამართლის მეორე სასწავლო წელი);
- საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა(სამართლის მესამე სასწავლო წელი);
- საადვოკატო უნარ-ჩვევები (სამართლის მეოთხე სასწავლო წესი);
- ადმინისტრაციული დავების სასამართლო წარმოება (მაგისტრატურის პირველი სასწავლო წელი)

დ[4]. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე:

- დიპლომატიური მოლაპარაკებების თეორია და პრაქტიკა (პირველი სასწავლო წელი);
- საერთაშორისო ურთიერთობების იდეოლოგიები (მეორე სასწავლო წელი);
- საერთაშორისო ტერორიზმი (მესამე სასწავლო წელი);
- დიპლომატიური პროტოკოლი (მეოთხე სასწავლო წელი);

დ[5]. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე:

- საჯარო პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა (პირველი სასწავლო წელი);
- ურბანული ეკონომიკა (მეორე სასწავლო წელი);
- გეოპოლიტიკა (მესამე სასწავლო წელი);
- ორგანიზაციული მენეჯმენტი (მეოთხე სასწავლო წელი);

დ[5]. მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე:

- ჟურნალისტიკის საფუძვლები (პირველი სასწავლო წელი);
- დასავლური მედია (მეორე სასწავლო წელი);
- მედია სამართალი (მესამე სასწავლო წელი);
- სამაუწყებლო მედია და ტელეჟურნალისტიკა (მეოთხე სასწავლო წელი);

ე. **აგრარულ ფაკულტეტზე** (ფიზიკაში, მათემატიკაში);

4. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის საგამოცდო სექტორის (ასოც. პროფ. ლ. ზივზივაძე, დ.ხუსკივაძე) და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის (№ 699) დადგენილების მე-3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის ბრძანებით (№ 159323) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.
5. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ წინასწარ შედეგნილი ცხრილის შესაბამისად.
6. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთით (როგორც გათვალისწინებულია შესაბამისი საგნის სილაბუსში): ტესტური (ღია, დახურული), წერითი, ზეპირი გამოკითხვა და კომბინირებული.
7. საგამოცდო დრო განისაზღვროს დასკვნითი გამოცდის სპეციფიკისა და მეთოდის მიხედვით. კერძოდ:
   7.1. წერითი საგამოცდო დრო არ უნდა აღემატებოდეს 90 (ოთხმოცდაათ) წუთს;
   7.2. ღია ტესტის შემთხვევაში თითოეულ კითხვაზე გამოიყოს არაუმეტეს 2 (ორი) წუთისა;
   7.3. დახურული ტესტის შემთხვევაში თითოეულ კითხვაზე გამოიყოს არაუმეტეს 1 (ერთი) წუთისა;
   7.4. საწერი საგამოცდო საკითხების შემთხვევაში (ერთ საკითხზე მაქსიმუმ 30 (ოცდაათი) წთ):
      ა. თუ საკითხზე პასუხი მოიცავს მხოლოდ ტექსტს, მაშინ - 1(ერთ) საკითხზე გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 30 (ოცდაათ) წუთს.
      ბ. თუ საკითხზე პასუხი მოიცავს 4000 სიმბოლოზე მეტს (ეს შეზღუდვა გააჩნია Forms), ან სტუდენტს შესასრულებელი აქვს სპეციფიური დავალება (მაგ. ტესტი მათემატიკაში ან ქიმიაში) და საჭიროა ჯერ პასუხი მომზადდეს ცალკე ფურცელზე/ფურცლებზე, ხოლო შემდეგ განხორციელდეს ნაშრომისათვის სურათის გადაღება და შემდგომ მათი სისტემაში ატვირთვა. მაშინ საგამოცდო დროს უნდა დაემატოს გამოცდისათვის განსაზღვრული დროის, მაქსიმუმ 30%.
      გ. კომბინირებული დასკვნითი გამოცდის დრო განსაზღვროს ამ ბრძანების მე-7 მუხლის 7.1., 7.2., 7.3., და 7.4. პუნქტის „ა“, „ბ“ და ქვეპუნქტებით;
      დ. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მიეცეთ დამატებითი დრო;
8. დასკვნითი გამოცდის დროს, რომელიც ტარდება Microsoft Form-ში, გათვალისწინებული იქნას შემდეგი მოთხოვნები:

ა. **დასაწერი** დასკვნითი **საგამოცდო საკითხების** შესრულებისათვის განისაზღვროს ორი ფორმა:

   ა[1]. თუ სტუდენტის მიერ დასაწერი საკითხი არ აღემატება მოცულობაში 4000 სიმბოლოს (რაც მოიცავს როგორც სასვენ ნიშნებს, ასევე დაშორებას) - ასეთ ტესტში გამოყენებულ იქნას Microsoft Forms ტექსტური პასუხის ველის ფუნქცია (Text);
   ა[2]. თუ სტუდენტის მიერ დასაწერი საკითხის მოცულობა აღემატება 4000 სიმბოლოს, ან სტუდენტს უწევს მათემატიკური ან ქიმიური ფორმულების წერა, ასეთ ტესტში გამოყენებულ იქნას ფაილის პასუხად მიმაგრების ფუნქცია (File Upload). კერძოდ,

სტუდენტი ფურცელზე ასრულებს სამუშაოს, გადაუღებს სურათს და ატვირთავს ფაილად;

9. ფაკულტეტების დეკანატებმა მოახდინონ სტუდენტთა და თანამშრომელთა დროული ინფორმირება, დასკვნითი გამოცდების წარმართვის გრაფიკის შესახებ და უზრუნველყონ ჯგუფების ჩართულობა საგამოცდო პროცესში.
10. დაევალოს:
10.1. On - Line ან „ონ-ლაინ" სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტებს დავით კეთილაძეს და რამინ ჯუღელს Microsoft Teams-ის და Microsoft Forms-ის ადმინისტრირება, ხოლო ელექტრონული სწავლების კოორდინატორს ნ. ცაგარეიშვილს აწსუ ელექტრონული სასწავლო პორტალის moodle.atsu.edu.ge - ის ადმინისტრირება;
10.2. ფაკულტეტის დეკანებს დასკვნითი გამოცდების ცხრილების შექმნა სასწავლო კურსებისა და სალექციო ჯგუფების მიხედვით და ცხრილების შედგენის დროს გაითვალისწინონ, რომ minor პროგრამაზე გამოცდები დაინიშნოს 2021 წლის 29 ივნისს და 6 ივლისს.
10.3. აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ პერსონალს დასკვნითი გამოცდისათვის საგამოცდო საკითხების რამდენიმე ვარიანტის (არა ნაკლებ სამი ვარიანტისა) მომზადება;
10.4. დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შუალედური გამოცდის ბილეთებში შესული საკითხებისა და ტესტების სილაბუსთან შესაბამისობის შემოწმება და დამტკიცება.
10.5. აკადემიურ პერსონალს და დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შემოწმებული და დამტკიცებული დასკვნითი საგამოცდო საკითხების და ტესტების შესაბამის სისტემებში (Microsoft Forms, Moodle.atsu.edu.ge) ატვირთვა მოახდინონ დასკვნითი გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 დღისა და განსაზღვრონ საგამოცდოდ საჭირო დროის პარამეტრები, ამ ბრძანების მე-7 და მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
11. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და ფაკულტეტებზე დეკანის განკარგულებით შექმნილმა ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის წევრებმა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად უზრუნველყონ დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარება, ამ ბრძანებით დადგენილი წესების დაცვით.
12. ფაკულტეტების დეკანებმა დააზუსტონ საგამოცდო ჯგუფების შემადგენლობა, რომლებშიც არ იქნება გამოცდაზე დაშვების უფლების არმქონე არცერთი სტუდენტი (წინაპირობა, სტატუსი და სხვა) და გამოსცენ შესაბამისი ბრძანება, სტუდენტთა საგამოცდო პროცესში ჩართულობისათვის, დასკვნითი გამოცდის ჩატარებამდე 3 დღით ადრე.
13. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს დასკვნითი გამოცდის ჩატარების თარიღიდან 3 დღის ვადაში დაევალოთ სტუდენტთა შეფასების შესახებ ინფორმაციის წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებში.
14. ენათა ცენტრის, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა, დასკვნითი გამოცდა ჩაატარონ ონ-ლაინ, პატფორმა Teams-ის გამოყენებით, საგნის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების მიხედვით.
15. ონ - ლაინ დასკვნითი გამოცდების საორგანიზაციო საქმიანობა წარიმართოს ფაკულტეტების ადმინისტრაციების განთავსების ადგილას, ხოლო საუნივერსიტეტო სივრცეში ჩასატარებელი დასკვნითი გამოცდების უნივერსიტეტის საგამოცდო სექტორში;

16. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2020-2021 სასწავლო წლის 27 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 13. 07. 2021- ის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 15.07.2021-ის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა დასრულდეს 17.07.2021 - ის ჩათვლით.
17. ის სტუდენტები, რომლებიც ტექნიკური პრობლემების გამო ვერ დაასრულებენ დასკვნით გამოცდას, განმეორებით დასკვნით გამოცდას ჩააბარებენ, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში, საუნივერსიტეტო სივრცეში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის საგამოცდო სექტორის (ასოც. პროფ. ლ. ზივზივაძე, დ. ხუსკივაძე) ორგანიზებით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის (№ 699) დადგენილების მე-3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის ბრძანებით (№ 159323) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, 2021 წლის სექტემბრის თვეში.
18. უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის საგაზაფხულო სემესტრის დასკვნითი გამოცდები დაიგეგმოს ამ ბრძანების მე-16 მუხლით გათვალისწინებული ვადებიდან ერთი კვირის შემდეგ.
19. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი გამოცდების ჩატარება უზრუნველყონ ფაკულტეტის დეკანებმა.
20. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.
21. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.
22. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის № 699 დადგენილება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის ბრძანება № 159323, უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 12 მარტის ბრძანებით (№ 01-04/22) დამტკიცებული 2020-2021 სასწავლო წლის განრიგი, ფაკულტეტის დეკანების სამსახურეობრივი ბარათი (532950, 543956, 537500,538093,536961,535496, 534699, 532592).

რექტორი პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: იმერი ბასილაძე